



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არღუნ-ხანი

არღუნ-ხანი, ირანის მონღოლი გამგებელი (1284-91) პულაგუიანთა დინასტიისა. მის დროს ეწყობოდა მონღოლ ფეოდალთა შეთქმულებები და აჯანყებები ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთი ასეთი შეთქმულების მეთაურთან ამირ ბუღასთან მეგობრობის გამო ქართვ. მეფე დემეტრე II თავდადებული ა-ის ბრძანებით 1289 სიკვდილით დასაჯეს. ა. უნდობლად ეკიდებოდა ირან. მუსლ. სამოხელეო ბიუროკრტიას და ცდილობდა სახელმწ. აპარატში ირანელთა შეცვლას ებრაელებითა და ქრისტიანებით. მის დროს გრძელდებოდა დიპლ. ურთიერთობა რომის პაპთან და დას. ევრ. სახელმწიფოებთან მამლუქების წინააღმდეგ გაერთ. ძალებით ლაშქრობის მოწყობის მიზნით; გაფართოვდა სავაჭრო ურთიერთობა გენუასთან.

წყარო: უამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჰ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხმ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

რ. კიკნაძე